საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *გიორგი კერატიშვილის* ---------- შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	17	20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	17	20
წერის უნარი	18	20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	14	15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	14	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	5	5
პროფესიული აქტივობები	5	5
ქულათა ჯამი	90	100

სახელი, გვარი: ირმა გელაშვილი

თარიღი: 28.05.2021

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 7 ოქტომბრის N1/134 გადაწყვეტილებით გამოცხადებულ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის

გიორგი კერატიშვილის

შეფასება/დასაბუთება

კანდიდატის შეფასებისას ვიხელმძღვანელე ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, გავითვალისწინე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოპოვებული ინფორმაცია და კანდიდატის საჯარო მოსმენის პროცესში გამოვლენილი გარემოებები.

კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმით:

ა). პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი - მითითებული მახასიათებლების შემოწმებისას გათვალისწინებულია კანდიდატის, როგორც მოქალაქის პატიოსნება, კეთილსინდისიერება, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება, გამჭვირვალობა, კორექტულობა და სხვ. კოლეგები გიორგი კერატიშვილს ახასიათებენ, როგორც კორექტულ, კეთილსინდისიერ, მაღალი პროფესიული სინდისის მქონე პიროვნებას. ერთ-ერთი რეკომენდატორი აღნიშნავს, რომ კანდიდატი მაღალი პასუხისმგებლობით ეკიდება მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

გიორგი კერატიშვილს აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2017 წლის 11 ნოემბრიდან 2020 წლის 11 ნოემბრის ჩათვლით პერიოდში, კანდიდატს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ფაქტები არ ერიცხება.

ბ). დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა - კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირების შეფასებით, გიორგი კერატიშვილი დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და სამართლიანი პიროვნებაა. ერთ-ერთი რეკომენდატორის მითითებით, კანდიდატზე გადაწყვეტილების მიღებისას ზეგავლენას ვერ ახდენს ცალკეული პირების განწყობები.

გიორგი კერატიშვილი არასდროს ყოფილა პოლიტიკური პარტიის წევრი/მხარდამჭერი ან შემომწირველი. ამასთან, არ არსებობს მტკიცებულება, რომ გადაწყვეტილების გამოტანისას მოსამართლე არ იყო დამოუკიდებელი.

გ). პიროვნული და პროფესიული ქცევა - კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირების შეფასებით გიორგი კერატიშვილი კოლეგებთან, თანამშრომლებთან, სამეცნიერო წრეებთან ურთიერთობისას არის თავდაჭერილი და ემოციურად გაწონასწორებული პიროვნება. ერთ-ერთი რეკომენდატორი აღნიშნავს, რომ სასამართლო სხდომის მიმდინარეობისას, კანდიდატი გამოირჩევა სიმშვიდით და პროცესის აუღელვებლად მართვით. კანდიდატის თაობაზე მოძიებული ინფორმაციით დგინდება, რომ გიორგი კერატიშვილის მიმართ დისციპლინური ან/და სისხლისსამართლებრივი დევნა არ დაწყებულა. იგი არ ყოფილა წარმოდგენილი სასამართლო დავაში მხარედ ან დაზარალებულად.

დ). პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია - კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირები გიორგი კერატიშვილს ახასიათებენ მაღალი პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის მქონე პიროვნებად. კოლეგები აღნიშნავენ, რომ კანდიდატი სარგებლობს პატივისცემით როგორც სასამართლო აპარატსა და კოლეგებში, ასევე, ზოგადად პროფესიულ წრეებში.

ე). ფინანსური ვალდებულება - კანდიდატს აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია, სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება.

გიორგი კერატიშვილი ჯეროვნად და კეთილსინდისიერად ასრულებს ფინანსურ ვალდებულებებს. მოძიებული ინფორმაციის თანახმად, არ არსებობს შეუსაბამობა მის შემოსავალს, ფინანსურ ვალდებულებებსა და მის საკუთრებაში არსებულ ქონებას შორის.

კანდიდატის საჯარო მოსმენის პროცესსა და მასზე მოპოვებულ მასალებში არ გამოვლენილა კონკრეტული გარემოებები, რაც კეთილსინდისიერების კრიტერიუმით კანდიდატის უარყოფითად შეფასების საფუძველი იქნებოდა, ამდენად, მივიჩნევ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმით:

სამართლის ნორმების ცოდნა: გიორგი კერატიშვილმა საჯარო მოსმენისას გამოავლინა მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობის ცოდნის სათანადო

დონე. კანდიდატმა სრულფასოვნად ისაუბრა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლით აკრძალულ მოპყრობაზე, ერთმანეთისგან განასხვავა წამება, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობა და მოიხმო ევროპული სასამართლოს პრეცედენტები. კანდიდატმა იმსჯელა აღდგენითი მართლმსაჯულების ინსტიტუტზე, მის როლზეც. მიუხედავად იმისა, რომ კანდიდატმა ცალკეულ შეკითხვებს უპასუხა, რიგ შემთხვევებში გამოვლინდა ნაკლოვანებებიც (მაგალითისთვის, კითხვაზე შეუძლია თუ არა საკონსტიტუციო სასამართლოს განახორციელოს კონსტიტუციური ნორმის კონტროლი, პასუხი არ იყო დამაკმაყოფილებელი).

აღსანიშნავია, რომ კანდიდატი არის მოქმედი მოსამართლე და სამოსამართლო უფლებამოსილებას ახორციელებს თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიაში. კანდიდატმა წარმოადგინა მის მიერ განხილულ საქმეებზე მიღებული განაჩენები, რომელთა გაცნობის შემდეგ შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატი სწორად იყენებს და განმარტავს სამართლის ნორმებს. გიორგი კერატიშვილი სისტემატურად ეცნობა საკანონმდებლო ცვლილებებსა და ეროვნულ თუ საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკას.

სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია: კანდიდატის მიერ წარმოდგენილ განაჩენებში მსჯელობა დასაბუთებული, ლოგიკური და თანმიმდევრულია. მისი გაცნობის შედეგად დგინდება, რომ დაცულია სამართლიანი სასამართლოს ისეთი აუცილებელი ელემენტი, როგორიც არის დასაბუთებული გადაწყვეტილება. ერთ-ერთი რეკომენდატორის თანახმად, კანდიდატის გადაწყვეტილების გაცნობისას ცხადი ხდება, რომ გიორგი კერატიშვილი სიღრმისეულად განიხილავს სამართლებრივ პრობლემებს და მხარის მიერ მოყვანილ ყველა მნიშვნელოვან არგუმენტებს, მათ პასუხობს სათანადო სამართლებრივი მსჯელობის ჩარჩოებში და არ ახდენს მათ იგნორირებას. საყურადღებოა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტის მიერ დამუშავებული სტატისტიკური მონაცემები, რომლის თანახმადაც გიორგი კერატიშვილის გასაჩივრებულ გადაწყვეტილებათა სტაბილურობის მაჩვენებელი შეადგენს 98.3%-ს.

საჯარო მოსმენის პროცესზე კანდიდატმა სხვადასხვა სამართლებრივ საკითხზე საუბრისას გამოავლინა სამართლებრივი დასაბუთებისა და აზრის ლოგიკურად ფორმირების უნარი. კანდიდატმა საინტერესოდ იმსჯელა სიტუაციურ კაზუსზე, რომელიც სხვისი არამატერიალური ქონების უნებართვოდ დაუფლებას ეხებოდა. კანდიდატმა ფართოდ ისაუბრა სისხლის სამართლის სხვა აქტუალურ საკითხებზეც, თუმცა ვერ გამოავლინა კონსტიტუციური სამართლის მიმართულებით სრულფასოვანი ცოდნა.

წერის უნარი: გიორგი კერატიშვილმა წარმოადგინა 4 სამართლებრივი ნაშრომი, მათ შორის 3 სასამართლო განაჩენი და 1 სამეცნიერო პუბლიკაცია. კანდიდატის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტების გაცნობის შედეგად შემიძლია დავასკვნა, რომ გიორგი კერატიშვილი აზრს გადმოსცემს ნათლად და გასაგებად, სამართლებრივ დოკუმენტებს არ ტვირთავს არამიზნობრივი მსჯელობით. აღნიშნულს ადასტურებენ კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირებიც. იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით, გიორგი კერატიშვილი ფლობს გადაწყვეტილების წერის კულტურას და შესაბამის უნარ-ჩვევებს.

ზეპირი კომუნიკაციის უნარი: კანდიდატმა საჯარო მოსმენის პროცესზე გამოავლინა კარგი კომუნიკაციის უნარი. გიორგი კერატიშვილი საუბრობს გამართულად, მშვიდად, გაწონასწორებულად, აზრს გადმოცემს ნათლად, ლოგიკურად, თანმიმდევრულად და მკაფიოდ. კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირები უთითებენ, რომ კანდიდატს შეუძლია აზრის გასაგებ ენაზე გადმოცემა, რომელიც გასაგებია არაიურისტი პირებისთვისაც.

პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში: კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირები გიორგი კერატიშვილს ახასიათებენ როგორც საქმისადმი ერთგულ პიროვნებას. ერთ-ერთი რეკომენდატორი აღნიშნავს, რომ სხდომის მიმდინარეობისას კანდიდატი გამოირჩევა კორექტულობით, პროცესს მართავს მშვიდად და აუღელვებლად. იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით, გიორგი კერატიშვილი კარგად წარმართავს პროცესს, სათანადოდ ფლობს საპროცესო უნარ-ჩვევებს.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტის მიერ დამუშავებული სტატისტიკური მონაცემების თანახმად, გიორგი კერატიშვილის მიერ კანონმდებლობით დადგენილ ვადებში გადაწყვეტილების მომზადების მაჩვენებელი 100%-ს აღწევს. ამასთან, კანდიდატს საანგარიშო პერიოდში (996 დღე) დასრულებული აქვს 9194 საქმე, დღეში საშუალოდ 10 საქმემდე, რაც საერთო ჯამში მეტყველებს კანდიდატის შრომისმოყვარეობასა და ორგანიზებულობაზე.

აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა: კანდიდატს მონაწილეობა აქვს მიღებული სასამართლო სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ 15-ზე მეტ ღონისძიებაში, მათ შორისაა სემინარები სამართლებრივი სიკეთის დაცვის, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების, ნარკომომხმარებელთა უფლებების, ადამიანის უფლებათა ევროპული და საერთაშორისო სტანდარტების, ადამიანით

ვაჭრობის შესახებ და სხვ. აღსანიშნავია, რომ გიორგი კერატიშვილმა სტაჟირება გაიარა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში.

2018 წელს, კანდიდატი მივლინებით იმყოფებოდა ამერიკის შეერთებულ შტატებში შეჯიბრებითობის პროცესის გაცნობის მიზნით. ამასთან, კანდიდატი არის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი (სტატუსი შეჩერებულია).

გიორგი კერატიშვილი იყო იუსტიციის უმაღლესი სკოლის X ჯგუფის მსმენელი (2013 წ.), მან იუსტიციის მსმენელთა საერთო საკვალიფიკაციო სიაში დაიკავა 34-ე ადგილი.

პროფესიული აქტივობა: პროფესიული აქტივობის თაობაზე მოძიებული ინფორმაციის თანახმად, გიორგი კერატიშვილი ეწევა სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობას. კერძოდ, კანდიდატი არის თანაავტორი წიგნისა „ევროპული და საერთაშორისო სამართლის ზეგავლენა ქართულ სისხლის საპროცესო სამართალზე". კანდიდატი უძღვება სისხლის სამართლის პროცესის სასემინარო კურსს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

აღსანიშნავია, რომ 2018 წელს გიორგი კერატიშვილი მივლინებულ იქნა სტრასბურგში დემოკრატიის მსოფლიო ფორუმზე. ამასთან, 2018 წლის 26 ივლისს საქართველოში ყაზახეთის დელეგაციის სტუმრობისას კანდიდატმა გააკეთა მოხსენებები როგორც მოსამართლეთა კანდიდატების შერჩევისა და კრიტერიუმების, ასევე სასამართლოების საქმიანობის ადმინისტრირების შესახებ.

კანდიდატის შემაჯამებელი შეფასება:

1. გიორგი კერატიშვილი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.
2. კომპეტენტურობის კრიტერიუმით კანდიდატს ვაფასებ 90 ქულით, კერძოდ:
   2.1. სამართლის ნორმების ცოდნა - 17 ქულა;
   2.2. სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია - 17 ქულა;
   2.3. წერის უნარი - 18 ქულა;
   2.4. ზეპირი კომუნიკაციის უნარი - 14 ქულა;
   2.5. პროფესიული თვისებები, მათ შორის ქცევა სასამართლო დარბაზში - 14 ქულა;

2.6. აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა - 5 ქულა;
2.7. პროფესიული აქტივობა - 5 ქულა.

ირმა გელაშვილი

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

თარიღი: 28.05.2021